პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ 1924 Წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ

№ 638 1 და 2 ქ. მ. დ. ᲞᲝᲚᲘᲢ-ᲒᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲔᲡ.

ახალწვეულები უკვე მოვიდენ. დიდი უმეტესობა მათ შორის სოფლის მშრომელი გლეხის შვილებია.

სოფლად კი არამც თუ პარტიული მომუშავენი, საზოგადოთ მომუშავენიც ცოტა იმყოფება.

ჩვენი მიზანი უნდა იყოს ახალ მომუშავეებში შევიტანოთ მეტი შეგნება და განვითარება.

თვითეული ღარიბი გლეხი თავის მდგომარეობით კომუნისტია. მას როგორც არაფრის მქონეს არ შეუძლია არ მიეხმაროს კომუნისტურ პარტიას.

მაგრამ მხოლოდ ერთი მდგომარეობა არ კმარა. მას თან უნდა ახლდეს მეორე განუყრელი ნაწილი-შეგნება.

წითელ-არმიელთა შეგნება-განვითარებაზე ნაწილის მთელმა შემადგენლობამ უნდა იზრუნოს.

მაგრამ ყველაზე უფრო მეტი ზრუნვა მოუხდება კომუჯრედს.

ამისათვის საჭიროა ეწყობოდეს კომუნისტური უჯრედის ღია კრებები, სადაც უპარტიო ამხანაგებს საშუალება ექნებათ დასწრების.

ერთი რამ მაინც არ უნდა დავივიწყოთ.

საზოგადოთ ჩვენს ღია კრებებს ერთი ნაკლი აქვს. ეს არის დღის წესრიგისათვის საკითხების შეურჩევლობა.

ყველა ის საკითხი, რომელიც თვითეულ კომუჯრედის წევრისათვის სავალდებულოა და საინტერესოა, არ შეიძლება იყოს საინტერესო უპარტიო ამხანაგებისათვის. ისეთი საკითხები კი, რომლებიც ზედმიწევნით ინტერესებს უპარტიო მასას, მრავალია. მხოლოდ ამას არჩევა ესაჭიროება.

გარდა ამისა ანგარიში უნდა გაეწიოს კრებაზე მოსულ უპარტიო ამხანაგებს.

უჯრედებში ხშირია შემთხვევა როდესაც ერთი-ან ორი საკითხის გარჩევის შემდეგ უპარტიო ამხანაგებს ეტყვიან ხოლმე: „ეხლა უნდა მიბრძანდეთ, კრება ღია აღარ არისო“.

თავისთავად ცხადია ღია კრებებზე ჩვენ ყველა საკითხებს ვერ განვიხილავთ ყველას თანდასწრებით.

მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს უხერხულობას.

ძნელია კრებიდან ადგომა და წასვლა.

რომ ასეთ პირობებში არ ჩავაყენოთ უპარტიო ამხანაგები, საჭიროა დღის წესრიგის ისეთნაირად შემუშავება, რომ კრების გათავებამდე ყველას შეეძლოს დარჩენა საქმის დაუზიანებლად.

საერთოდ კი კომუჯრედმა უნდა დაისახოს მთავარ მიზნათ: რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი უპარტიო მასასთან.

ჩვენ მივიღეთ ან სუსტი, ან სრულიად მოუმზადებელი ამხანაგები პარტიულ და საბჭოთა მუშაობის წარმოებისთვის. ჩვენი მოვალეობაა გამოვჭანგოთ, გამოვწვრთნათ ისინი და ერთი ორად მომზადებულნი გადავსცეთ სოფელს.

თვითეული უვადო შვებულებაში მიმავალი წითელ-არმიელი თუ გულით და სულით კომუნისტი არ იქნება, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული დამცველი მაინც უნდა იყოს.

ეს მოითხოვს უფრო მეტ კავშირს და მეტ მუშაობას უპარტიო წითელ-არმიელებთან.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

საფრანგეთის კომპარტიის აღმასკომმა გაუგზავნა შემდეგი მიმართვა რუსეთის მუშებსა და გლეხებს:

„დღეს, როცა საფრანგეთის მთავრობამ იცნო საბჭოთა კავშირი, საფრანგეთის პროლეტარები და კომუნისტები ულოცავენ თავიანთ რუს ძმებს ამ გამარჯვებას.

იმათ იციან, რომ კაპიტალისტების უკან დახევა კიდევ არ ნიშნავს რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლის დასასრულს.

უფრო მეტის სიმტკიცით, ვიდრე ოდესმე, საფრანგეთის კომუნისტები წავლენ ძლევა მოსილ ბოლშევიზმის მიერ აღნიშნული გზით.

ᲔᲠᲑᲔᲢᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ერბეტმა, რომელიც უნდა დანიშნულ იქნას საფრანგეთის ელჩად მოსკოვში, კმაყოფილებით მიესალმება ცნობას.

ის სთვლის საჭიროდ გამონახულ იქნას ყოველგვარი საშუალება, რათა მშვიდობიანად იქნას გადაჭრილი საკითხები ორივე მხარეს შორის.

ერბეტის აზრით შეუძლებელია გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირთან დამოუკიდებლად.

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ.

ვარშავაში დაბრუნდა პარიზში მყოფი პოლონეთის ელჩი, რომელიც გამოწვეული იყო სპეციალური მოხსენების გასაკეთებლად საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ საფრანგეთის მიერ.

ᲠᲐᲓᲘᲝ-ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ.

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲘ.

გაზეთი „ეკო-დე-პარი“ და „ეკლერი“ იმედ გაცრუებული არიან საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განახლების გამო.

„ეკო-დე-პარი“ აცხადებს, რომ პარიზი გადაიქცევა ბოლშევიკების პროპაგანდის ბუდეთ საფრანგეთში, ბელგიაში, იტალიაში, შვეიცარიაში და ესპანეთში.

თავის განცხადებაში გაზეთი ილაშქრებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გაზეთი „სუარ“ განმარტავს ცნობას და აცხადებს, რომ არ შეიძლება 160 მილიონიანი ხალხის ჩამოშორება. საფრანგეთმა ბოლოს მიხვდა, რომ რუსეთში პოლიტიკური წესწყობილების შემოღება მხოლოდ რუსეთის ხალხის საქმეაო.

გაზეთი „ექსელსიორი“ აღნიშნავს, რომ რუსეთის საქმეთა კომისია უნდა შეუდგეს ცნობის და რუს ემიგრანტების (გადმოსახლებულთა) საკითხებს.

ᲖᲘᲜᲝᲕᲘᲔᲕᲘᲡ ᲧᲐᲚᲑᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ.

ამერიკის პრესაში დიდი ჩოჩქოლი გამოიწვია ზონოვიევის ყალბმა წერილმა, ვინაიდან ლონდონის ყველა კორესპონდენტი ამტკიცებს იმას, რომ ცნობა ვითომც მაკდონალდმა სცნო ეს წერილი ზინოვიევის წერილად, სიმართლეს მოკლებულიაო.

ᲛᲝᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ-ᲗᲐᲕᲡᲐ ᲡᲪᲔᲛᲡ.

ზინოვიევის ეგრედ წოდებული წერილის საქმე აღელვებს დასავლეთის პრესას და საზოგადოებრივ წრეებს.

ცხადია ამ ინციდენტს არ შეუსუსტებია მუშათა პარტიის მომხრეთა სიმპატია საბჭოთა კავშირის მიმართ და არ შეუსუსტებია აღშფოთება კაპიტალისტების წინააღმდეგ. მან მხოლოდ მოსპო მათი ნდობა მაკდონალდის მიმართ.

ეს აღნიშნა მაკ-მანუსმაც, რომელიც გამოვიდა მანჩესტერში მომხდარ მიტინგებზე.

მუშათა პარტიის შანსები შესუსტდა პატარა ქალაქებში და სამიწადმოქმედო ოლქებში.

დიდ უმეტესობას მუშათა პარტია ვერ მიიღებს პარლამენტში.

უფრო მართალი იქნება ვიფიქროდ, რომ ინგლისში ახლო მომავალში ძალაუფლებას ხელში აიღებს კონსერვატიული მთავრობა.

ᲙᲘᲓᲔᲕ „ᲙᲝᲛᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ“

„ტიდენს ტეგნში“ გამოქვეყნებულ იქნა საიდუმლო წერილი კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სახელით, რომელიც ვითომც ხელმოწერილი იყოს კუუსინენის მიერ წერილი მიმართულია ნორვეგიის კომპარტიის სახელზე. ეს წერილი თითქოს ყოფილიყოს გაგზავნილი მუშებსა და მეპატრონეებს შორის გაზაფხულზე მომხდარ უკმაყოფილების დროს. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წერილი წააგავს ზინოვიევის ყალბ წერილსო.

ამის გამო ბურჟუაზიულ პრესაში კვლავ ასტყდა განგაში კომუნისტური პროპაგანდის შესახებ და ამტკიცებენ, რომ წინა წერილი მართლაც ზინოვიევის ხელმოწერილიაო.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ.

29 ოქტომბერს დაიწყო არჩევნები ინგლისის, შოტლანდიის და უელსის ყველა ოლქებში. არჩევნების შედეგები გამოცხადებულ იქნება დამატებით.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ.

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ.

ნაციონალისტებმა გამოუშვეს მეორე საარჩევნო მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია:

ნაციონალისტები მომხრე არიან ყველა კლასების თანამშრომლობის და სცდილობენ კონსტიტუციის შექმნას, რომელიც უპასუხებდა „გერმანულ სულს.“

მათი აზრით მმართველობის საუკეთესო ფორმა ეს არის კონსტიტუციონური მემკვიდრეობითი მონარქია.

„ჩვენი უახლოესი მიზანია, ნათქვამია მოწოდებაში, ფედერალიზმის აღდგენა და ახლო მომავალში პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა, ჩვენი უმთავრესი მტერი არის სოციალ-დემოკრატია მათ ბოლო უნდა მოეღოს პრუსიაში.“

ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ.

ცენტრის პარტიის საარჩევნო მოწოდებაში ნათქვამია, რომ ცენტრის პარტია გაატარებს ნაციონალურ პოლიტიკას, მაგრამ ის მზადაა ითანამშრომლოს სხვა პარტიებთან, რომლებიც სდგანან კონსტიტუციის პლათფორმაზე და სცდილობენ წესრიგის ჩამოგდებასა და მეურნეობის აღდგენას. პარტიას არ სწამს არც კლასიური და არც მასიური ბრძოლა.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ.

იაპონიის მთავრობის თავმჯდომარემ კატომ იაპონია-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ განაცხადა:

„იაპონიას დიდი პრეტენზიები (საჩივრები) აქვს რუსეთთან ძველი ვალდებულებების საკითხში, რომლის შესახებ საკითხი ჯერაც არ გადაჭრილა.

საჭირო არ არის ავჩქარდეთ ურთიერთობის დასამყარებლად და მსხვერპლად შევსწიროდ ასეთი დიდი მნიშვნელობის საკითხი.

თუ საბჭოთა კავშირი გაიზიარებს იაპონიის პოზიციას, მოლაპარაკებას სასურველი შედეგი მოყვებაო.“

ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲕᲙᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ.

უკრაინის ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დებულება მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ და დაამტკიცა მისი შემადგენლობა.

რევკომში შევიდა სამი ამხანაგი: თავმჯდომარედ—სტარი, წევრებად ბადეევი, სტროევი, კრივორუკოვი, ბუჩუშკანუ, ანდრია ივანოვი და ეკატერინა არბორე. ყველა ესენი ძველი გამოცდილი რევოლიუციონერები არიან.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ.

ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲔᲑᲘ.

იენში, გოტში, ეიზენახში, მაგდენბურგში და შუა-გერმანიის სხვა ადგილებში გაიფიცა მუნიციპალურ სამრეწველოების მუშები. გაფიცულთა რიცხვი 7.000 უდრის. მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებას.

დე-მონზის საუბარი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

გაზეთ „პტი-პარიზიენში“ დაბეჭდილია საფრანგეთის სენატორ დე-მონზიზ საუბარი, რომელშიაც ის გამოსთქვამს სიხარულს თავისი კომისიის მუშაობის შედეგების გამო. ის აცხადებს, რომ ვალდებულება და ხელშეკრულებები, რომლის შესახებაც ნათქვამი არის ერიოს ნოტაში, ეხება პოლონეთსა და რუსეთის ყოველ ტერიტორიებს, რომლებიც გახდენ დამოუკიდებელ ქვეყნებად. საქმე ეხება აგრეთვე ბესარაბიასაც.

დე-მონზის აზრით, ვალდებულების დაცვა მეპატრონეთა მიმართ, რომლებსაც ჩამოერთვა საბჭოთა კავშირში ქონება,—ეს არის „წმინდა მოვალეობა“.

ვალების საკითხში ის ამბობს: „საქმე ის კი არ არის, რომ საბჭოთა კავშირმა იცნოს ვალები, არამედ ის, რომ გამონახული იქნას საშუალებები მათ გადასახდელად.

საელჩო და ბიზერტში მყოფი სამხედრო გემები დაუბრუნდება საბჭოთა კავშირს.

ცნობას თავის თავად არ მოყვება საჩქაროდ შედეგები, მაგრამ ის ნებას მოგვცემს შევქმნათ მდგომარეობა, რომელიც შესაძლებლად გახდის ეკონომიურ ურთიერთობის განმტკიცებას.

შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირის ცნობა.

შეერთებულ შტატებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კავშირის ცნობამ საფრანგეთის მიერ.

დღემდის აქ ფიქრობდენ, რომ საფრანგეთი შეურიგებელ პოზიციაზე იდგა საბჭოთა კავშირის მიმართ და ამართლებდა ამით იუზის პოლიტიკას.

„ნიუ-იორკ-ტაიმსი“ ცდილობს დაამციროს ცნობის მნიშვნელობა და ამბობს, რომ ერიო არ იყო კარგად განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ, მაგრამ ის იძულებული გახდა საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობის გამო ეცნო საბჭოთა კავშირიო.

რესპუბლიკის სენატორი ბორა ულოცავს საფრანგეთს ცნობას.

სენატორი კარაზეი (კონზასის შტატის დემოკრატია) იწონებს ერიოს მოქმედებას და ურჩევს ამერიკას იცნოს საბჭოთა კავშირი.

„იუნაიტედ-პრესის“ სააგენტო განმარტავს ცნობის საკითხს და ამბობს, რომ ეს ცნობა აშკარად ამტკიცებს იმას, რომ კომუნისტები ეკონომიურად აღორძინებენ რუსეთსო.

საფრანგეთი დარწმუნდა, რომ კომუნიზმი საბოლოოდ გამკვიდრდა რუსეთში და შეუძლია მას ილაპარაკოს რუსეთის ხალხის სახელითო.

რუმინეთში.

მდგომარეობა ბესარაბიაში.

კიშინევიდან ადესაში ჩამოსული გამოქცეულები მოგვითხრობენ, რომ რუმინეთის ძალები ბესარაბიაში მეტად შეშინებული არიან გამოსვლებით.

ამ ჟამად რუმინელებმა დაიწყეს პოპულიარულ ყოველ-დღიური გაზეთის გამოცემა რუმინულ ენაზე. გაზეთები უფასოდ იგზავნება სოფლებში.

ბესარაბიაში გაძლიერებულია ჟანდარმერიის შემადგენლობა. ყოველ სოფელში არის ცხენოსანი ჟანდარმები.

სბჭოთა ფედერაცია.

ჰანრი ბარბიუსის მოსვლის შესახებ.

ნოემბრის უკანასკნელ დღეებში ლენინგრადში მოელიან საფრანგეთის ცნობილ მწერალს ჰანრი ბარბიუსს.

სავაჭრო წარმომადგენლების დანიშვნა.

საკავშირო სახკომსაბჭომ დანიშნა იუზბაშევი წარმომადგენლად იტალიაში და ვულფსონი-ვენაში.

ბრძოლა პროსტიტუციის წინააღმდეგ.

პროსტიტუციის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოების ცეკას პლენარულ სხდომაზე მოხსენებაში გამოირკვა, რომ უკრაინაში ითვლება 230.000 ვენერიული ავადმყოფი. პროსტიტუციის წინააღმდეგ მებრძოლ გეგმაში გათვალისწინებულია ფართე დახმარება უმუშევარ ქალებზე, ახალი ბავშვთა **ბაგების** გახსნა, სახლების და სასადილოების მოწყობა და უმუშევარ ქალებზე სამსახურის მცემია სტაჟისა და კვალიფიკაციის (საქმის ცოდნის, განვითარების) მიუხედავად.

ცენტრალური აღმასკომის სესიის დახურვა.

29 ოქტომბერს შესდგა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასკომის სესიის საბოლოო სხდომა.

სესიის დახურვისას ამხ. კალინინმა განაცხადა: „ამ სესიის მუშაობა არა ჰგავს სხვა სესიების მუშაობას, ამ სესიის მუშაობა ისტორიული შემაერთებელი რგოლია ორი პალატის: ნაციონალურისა და საკავშირო საბჭოების.

ნაციონალურ საბჭოს უმთავრესი ამოცანაა ცხადჰყოს საჭიროება, მისწრაფება და სურვილი ჩამორჩენილ და უკმაყოფილო ერების, რომ ეროვნულმა საბჭომ ვერ გამოსთქვას და დაიცოს მტკიცედ ჩამორჩენილ ერების საჭიროება, იმ შემთხვევაში ის ვერ იქნება თავისი როლის სათანადოდ ამსრულებელი.

ჩვენი კავშირის განვითარება მიდის წინ. საბჭოთა კავშირის მოქალაქეები იმყოფებიან განვითარების სხვა და სხვა საფეხურზე: ერთის მხრივ ჩვენ გვყავს საკმაოდ შეგნებული პროლეტარიატი, მეორეს მხრივ—ჩამორჩენილი ერები, როგორც კირგიზები, ტურკმენები და სხვა. მოწინავე პროლეტარიატის ღრმა შეგნება და ჩამორჩენილი ერების რწმენა იმაშია რომ საბჭოთა ხელისუფლებას ბედნიერება მოაქვს ყველა ერებისთვის გვაძლევს საშუალებას გამოვიჩინოდ დიდი ძლიერება, რომლითაც ჩვენ ვძლევდით და დავძლევთ დაბრკოლებებს“.

კალინინის სიტყვა ხანგრძლივი ტაშით იფარება.

ადგილობრივი ცნობები.

შუშის ქარხანაში.

ბორჯომის შუშის ქარხანაში თავდება შუშის გადასადნობელ ღუმელის კეთება.

ღუმელი ამუშავდება ოქტომბრის დღესასწაულებზე.

იმავე ქარხანაში გაიხსნა თიხის ნივთების დამმზადებელი სახელოსნო.

აბხაზეთი.

2 ნოემბერს სუხუმში გაიხსნება წიგნების გამოფენა, რომელსაც მოაწყობს ქალაქის ბიბლიოთეკარები. გამოფენაში იქნება შემდეგი განყოფილებები:

„ოქტომბრის მეშვიდე წლის თავის შესახებ“, „ჩინეთის ამბების შესახებ“, „ოქტომბერი გამოფენაზე“ და სხვა.

გამოფენა გაგრძელდება ნახევარი თვე.

ტრამვაი სუხუმს.

აბხაზეთის ქალაქის გეგმის განყოფილებამ აღძრა საკითხი ელექტრო ტრამვაის მოწყობის შესახებ სუხუმში. წინასწარი ხარჯთ აღრიცხვა უდრის 86.500 მანეთს.

ტრამვაის მოწყობამ დიდი როლი უნდა ითამაშოს სუხუმის, როგორც კურორტის განვითარების და საბინაო კრიზისის საქმეში.

რადიო ყოველ მხრიდან

ერთა ლიგაში.

განიარაღების საკითხი.

ინგლისის დელეგატმა ლორდ პარმურმა წინადადება შეიტანა ერთა ლიგაში განიარაღების საკითხის გადადების შესახებ. საფრანგეთის გაზეთები გაკვირვებულნი არიან ამ წინადადების გამო და აღნიშნავენ, რომ ალბათ ინგლისის მთავრობას აღარ აინტერესებს დღეს ის საკითხები, რომლებსაც ისე იცავდა მაკდონალდი ჟენევაში ერთა ლიგის სესიის დროსო. გაზეთი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის შეხედულება განიარაღების საკითხში უცვლელიაო.

არ შეირცხვინო თავი, არ დაიმსახურო ცუდი სახელი.

(ახალწვეულებს.)

თქვენ ეხლა უკვე წითელ ყაზარმაში ხართ.

გამოგიწვიათ საბჭოთა ხელისუფლებამ მუშებისა და ღარიბ გლეხების უფლებების დასაცავათ. ამისათვის კი საჭიროა შეისწავლოთ სამხედრო საქმე, შეიქმნეთ ნამდვილი წითელ-არმიელები.

მართალია პირველ ხანებში გეხამუშებათ ყაზარმად ყოფნა. მაგრამ ეს არაფერია.

მამიდასთან და დეიდასთან სტუმრობაც ხომ ადვილი საქმე არ არის. ყველა ჩვენგანს სიხარულით მიუხარია ნათესავებისას სტუმრად.

მივა იქ და მოსალამეობისას ცოტა ოდენს მოიწყენს.

თავს უცხოდ იგრძნობს. ისე აქაც. რამოდენიმე დღით სტუმრები ხართ.

გეუცხოვებათ სამხედრო ცხოვრება. მაგრამ გავა კარანტინის დღეები და თქვენც ისეთივე შინაური შეიქმნებით, როგორც სხვა წითელი არმიელები.

მხოლოდ ერთი რამ არ უნდა დაივიწყოთ.

ყველგან და ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ მუშებმა და გლეხებმა თავის ბედი თქვენ ჩაგაბარათ. დაგაყენათ ისეთ საპატიო ადგილზე, როგორც წითელ-არმიელის სადარაჯოა.

რომ ამ საქმის პირნათლად შესრულება შესძლოთ და თავი არ შეირცხვინოთ, საჭიროა შეგნებულად მოეკიდოთ თქვენს მოვალეობას.

პირველ ყოვლისა თქვენ უნდა შეისწავლოთ იარაღის მოვლა და ხმარება. ამისათვის საჭიროა მუყაითობა და ყურადღება.

ერთ დღეს და ორ დღეს კაცი კარგი მეომარი ვერ შეიქმნება. ამას უნდა გამომუშავება და გამოჟანგვა.

სამხედრო საქმის შესწავლას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ.

ნდობით არ აღჭურვილი პირი წითელ-არმიელი არ არის.

რომ ნამდვილი წითელ-არმიელი იყო, ამისათვის არ კმარა იარაღის ხმარების ცოდნა.

საჭიროა ნდობა და პატივისცემა გქონდეს დამსახურებული. ეს რომ ასე მოხდეს, საჭიროა სამხედრო წესები და ყველა მოთხოვნილებები, უფროსების მიერ წამოყენებული უკლებლივ და მთლიანად შევასრულოთ.

შეუწყნარებელი და დაუშვებელია ნაწილიდან თვითნება წასვლა, დეზერტირობა...

პირველ შეხედვით კი კაცი ამას ანგარიშს არ გაუწევს. წავალ, მივალ მოვივლი და უკანვე დავბრუნდებითო—იტყვის და გაუდგება გზას.

წავა, შეიძლება დაბრუნდეს შეიძლება დააბრუნონ. შედეგი კი ერთი და იგივე მოყვება.

ყველა უნდობლობის თვალით შეხედავს; არაფერს ანდობენ და დაავალებენ.

„მაინც არ შეასრულებს მატყუარა კაციაო“ —იტყვიან. სამაგიეროდ პატარა სამუშევარზე ციბრუტივით ატრიალებენ.

კარგია უნდობლობის დამსახურება?

უნდობლობის დამსახურება, თავისთავად ცხადია, არ ვარგა და არ არის სასიამოვნო.

პირიქით ყველა ჩვენგანი იმის ცდაში უნდა იყოს რომ ნდობაც ქონდეს და პატივისცემაც.

ჯარში კი არა უნდობი კაცი სოფელშიაც არ ვარგა. მას არც ხარს ათხოვებენ და არც ცხენს.

„გლახა კაცია, კისერს გაუფუჭებს, ზედმეტ ჯაფას დააყენებსო“. და თუ სოფლად არ ვარგა ასეთი კაცი, სადაც ზარალს მხოლოდ თავის საკუთარ თავს აყენებს, ჯარში მით უფრო არ ივარგებს.

წითელ-არმიელს ხომ ერთი და ორი კაცის უფლება არ აქვს ხელში? იგი მოწოდებულია მთელი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დასაცავად.

ვისგან უნდა დავიცვათ მუშური ხელისუფლება?

ჩვენს მართვა-გამგეობას მუშური იმიტომ ქვია, რომ სათავეში უდგას მუშები და გლეხები.

მთავრობას ირჩევს მუშა და გლეხი. ვაჭრები, მღვდლები, მემამულეები და ყველა უპატიოსნო მოქალაქე მოკლებულია, როგორც არჩევის, ისე ამრჩევის უფლებას.

დღეს მუშისა და ღარიბი გლეხის ბატონობაა.

მემამულეებს მიწები ჩამოერთვა, გლეხებს გადაეცა. ბერებს მონასტრის მამული აღარ აქვთ.

ვაჭრებს ხალხის მოტყუების საშვალებას აღარ აძლევენ. სოფლად ჩარჩებს ვეღარ მოაქვთ დამპალი საქონელი და მამასისხლად ვერ ყიდის გლეხებზე.

ამიტომ, თავისთავად ცხდია, ეს ხალხი ტუჩებში არ გვაკოცებენ.

ჩვენ ვებრძვით მათ. ვსპობთ მათ ბატონობას და ვცდილობთ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებას.

რასაკვირველია მათ არ მოსწონთ ეს და მზათ არიან წინააღმდეგობა გაგვიწიონ, წაგვეკიდონ, ჩვენი ხელისუფლება მოსპონ და თავისი დააწესონ.

აი სწორეთ ეს რომ ასე არ მოხდეს, ე. ი. ძველი დრო არ დაბრუნდეს: მიწა მემამულემ არ წაიღოს უკან, მღვდელმა ტაბლა და ცხვრის ბეჭი არ მოგვთხოვონ, მუშები არ ამუშავონ დილიდან საღამომდე, გლეხებს ღალა არ წაართვან, საჭიროა მუდამ მზათ ვიყვეთ.

ამისთვის კი საჭიროა ვიცოდეთ იარაღის ხმარება. ჩვენ სწორეთ ამისთვის ვართ დღეს გამოწვეული.

ამიტომ მარჯვეთ უნდა ვიყვეთ, არ დავიმსახუროთ ცუდი სახელი, შევისწავლოთ სამხედრო საქმე, წერა-კითხვა, შევასრულოთ სამსახურის ვადა და მომზადებულნი დაუბრუნდეთ ჩვენს სოფელს.

—ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოგვაწოდეთ კარგი კინო სურათები.

მეორე ტერდივიზიას აქვს თავისი საკუთარი კინო-თეატრი. კინო სურათებით სარგებლობენ, როგორც ხსენებულ დივიზიის ნაწილები, ისე კერძო მოქალაქენიც.

ქუთაისის გარნიზონში მყოფ წითელ არმიელებისათვის მხოლოდ ორშაბათობით მიდის უფასოდ სურათები, მაგრამ კარგი იქნება, რომ სულ არ უშვებდენ ამ სურათებს ისინი უსარგებლო და ძლიერ მოსაბეზრებელი არიან. სურათები არაფერს არ იძლევიან წითელ არმიელებისათვის.

მათ არა აქვთ არც აღმზრდელობითი და არც სხვა ხასიათი. ქუთაისის გარნიზონში მყოფი არმიელები მივმართავთ ჩვენი კინო დისკის გამგეს გვაჩვენოს ისეთი სურათები, რომლებიც სარგელბობას მოგვიტანენ.

ასეთი სურათები მრავალია. სამოქალაქო ომების პერიოდიდან, სხვა და სხვა რევოლიუციონური ხასიათის სურათები და სხვა.

იმედი გვაქვს ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიექცევა კინოს გამგისაგან და ისეთ სურათებს გამოიწერს, როგორსაც ვთხოვთ.

სამხკორი **გულშემატკივარი.**

გავედით სოფლათ.

5-ე ლეგიონის ნაწილებმა უკვე დაიწყეს სოფლებში გასვლა.

ხუთ ოქტომბერს პირველად ლეგიონის მესამე ათასეულმა გადადგა ეს დიადი ნაბიჯი. ტერიტორიალური ნაწილები მიეშურებიან სოფლებისაკენ, რომ პირნათლად შეასრულონ მათზე დავალებული საქმე.

ჩვენი პროვინცია მოუთმენლად ელის წითელი ჯარის ნაწილებს, რომლებიც თავის ცოდნას შეიტანენ გლეხობაში. იქ საჭიროა სამხედრო, პოლიტიკური და კულტურული ცოდნის მიწოდება. ჩვენი ნაწილები ხელი-ხელ ჩაკიდებული შეუდგებიან გლეხებთან მუშაობას. მათ დიდი მუშაობა მოელით სოფლების კულტურულ-განმანათლებელ ფრონტზე და იმედი გვაქვს, როგორც ყოველთვის, აქაც გამარჯვებული გამოვლენ. წითელი ნაწილები აუხსნიან და გააგებიებენ გლეხებს საბჭოთა ხელისუფლების მისწრაფებებს და მის საქმიანობას მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

ამნაირად სოფლის ულარიბესი და ჩამორჩენილი გლეხობა გაეცნობა მუშურ გლეხური ხელისუფლების ამოცანებს. ეს სამუდამოთ დაასამარებს ჩვენი მტრების საქმიანობას.

გაუმარჯოს ტერ-ნაწილების მომავალ მუშაობას სოფლად.

სამხკორი **ჯაგახელი.**

ახალწვეულები მესანგრე ასეულში.

24 ოქტომბერს ცალკე მესანგრე ასეულიდან გაემგზავრა წარმომადგენელი ქ. თელავში ახალწვეულების ჩამოსაყვანად. 25 ოქტომბერს გაიმართა საზეიმო საღამო ახალწვეულებისათვის.

საღამო შინაარსიანად ჩატარდა. საღამოს წინ კრება გახსნა თელავის მაზრის კომისარმა, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა ახალწვეულებს და მოუწოდა მათ გაეშურონ წითელ ჯარის რიგებისაკენ, სადაც ისინი შეიძენენ სამხედრო ცოდნას და განვითარდებიან კულტურულ-პოლიტიკურად.

მისალმებით გამოვიდენ აგრეთვე რუსულ ცხენოსან ნაწილის წითელი მოლაშქრე და მესანგრე ასეულის წარმომადგენელი, ამხ. კვიჟინაძე, რომელსაც ტაშის ცემით შეხვდა დამსწრე საზოგადოება.

ამხ. შეეხო წითელი ჯარის დანიშნულებას და აღნიშნა ახალწვეულების მოვალეობა წითელ ყაზარმაში მისვლისას.

ამხ. დაჯილდოებული იქნა მხურვალე ოვაციებით.

შემდეგ ამხ. კვიჟინაძე ახალწვეულებითურთ გაემგზავრა სადგურისაკენ, სადაც თავი მოეყარათ მახლობელ სოფლებიდან გლეხებს და აცილებდენ ახალწვეულებს.

დაირეკა თუ არა მესამე ზარი, დაიწყო გლეხებსა და წითელ არმიელებს შორის გამომშვიდობება.

გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას, გაუმარჯოს წითელ ჯარსო! აი რა გაისმოდა ირგვლივ.

26 ოქტომბერს ახალწვეულებს შეეგება მთელი მესანგრე ასეულის უფ-პოლიტშემადგენლობა და წითელ არმიელები. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ასეულის სამხკომი ამხ. ჯავახოვი, რომელიც სიხარულით შეეგება მათ მოსვლას და იმედი გამოსთქვა, რომ მჭიდროდ შეკავშირდებიან მომავალი მუშაობის საწარმოებლად. მისალმების შემდეგ სიმღერით გავეშურეთ ჩვენი ნაწილისაკენ.

სამხკორი **ლ. გიორგაძე.**

როგორ ვხვდებით ახალწვეულებს.

პირველი დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულს უკვე ეწვიენ ახალწვეულები. ისინი მოვიდნენ ჩვენთან გორისა და თბილისის მაზრებიდან.

მოსვლისთანავე ახალწვეულები წაყვანილ იქნენ აბანოში, რის შემდეგ მოთავსებული იქნენ დასუფთავებულ კარანტინში. გამოყენებული იქნა ტიფისა და ხოლერის საწინააღმდეგო აცრა მათზე.

ასეულის უფ-პოლიტშემადგენლობა და მთელი წითელი არმიელები ენერგიულად მუშაობდენ ახალწვეულების სათანადოთ მოწყობისათვის. ახალწვეულებს ძლიერ ეჩქარებათ ჩვენთან ერთად შეუდგენ საქმიანობას. სულ იმას ნატრულობენ როდის ამოგიდგებით გვერდში.

ასეულში მოვლინებული წითელი მეთაურები ენერგიულად მუშაობენ. ისინი იშოვიან თუ არა თავისუფალ დროს, შედიან ახალწვეულებთან და აწარმოებენ საუბარს პოლიტიკურ და კულტურულ თემებზე. ესაუბრებიან აგრეთვე იმაზე, თუ რა დანიშნულება აქვს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და სხვა.

ასეულში უკვე გამოვიდა კედლის გაზეთი „წითელი დროშა“, რომელშიდაც მრავალი საყურადღებო წერილებია მოთავსებული. მოწინავე წერილები ეხებიან ახალწვეულების მოსვლას წითელ ყაზარმაში. შემდეგ ასეულის ცხოვრებიდან და სხვა.

გაზეთში მოთავსებულია ძველი წითელ არმიელების წერილები.

ყაზარმა ლამაზადაა მოწყობილი რევოლიუციის ბელადთა სურათებით, პლაკატებით და სხვა.

ყველგან დაცულია დიდი სისუფთავე.

სამხკორი **შალაშინი.**

ჩვენი საქმიანობა.

უკვე თვენახევარია, რაც მეექვსე ტერლეგიონი დაბანაკდა სენაკის მაზრაში.

ჩამოსვლისთანავე შეუდექით ჩვენი დიადი ამოცანის სისრულეში მოყვანას. გაება კავშირი, როგორც ადგილობრივ ქალაქის, ისე სოფლის პარტიულ ორგანიზაციებთან, რომელიც თანდათანობით მჭიდრო ხასიათს ღებულობს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი ლეგიონის ბიურო-კოლექტივის და პარტშემადგენლობის ენერგიული მუშაობა ამ მიმართულებით. ამხანაგები დაუღალავად და სისტემატიურად ეწევიან მუშაობას, როგორც ლეგიონში, ისე სამოქალაქო ორგანიზაციებში.

პოლიტსაათი.

ლეგიონში სისტემატიურად სწარმოებენ პოლიტსაათები. წითელ არმიელებიც დიდი მონდომებით ეკიდებიან ამ საქმეს, ყველა ძლიერ არიან დაინტერესებული პოლიტიკური განვითარებით. პოლიტხელები თავის სიმაღლეზე სდგანან. ერთი კია წითელ არმიელების მეცადინეობას ძლიერ უშლის ხელს საგარნიზონო განწესებანი. ყოველ დღიურად უხდება განწესებაში გასვლა არმიელს, წესდებით კი ეს აკრძალულია. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ მოვლენასაც.

კედლის გაზეთი.

ლეგიონში უკვე გამოვიდა კედლის გაზეთი. გაზეთი, როგორც შინაარსით, ისე გარეგნულად მიმზიდველ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე. საჭიროა მხოლოდ ცოტა უფრო სუფთად იწერებოდეს, რომ გაგვიადვილდეს მისი კითხვა.

საკლუბო საქმე.

კლუბი ძლიერ კარგ ადგილზეა მოთავსებული. კლუბის გვერდით იმყოფება აგრეთვე ლეგიონის წიგნთსაცავი, რომელიც ლამაზად არის მორთული და იპყრობს მნახველის ყურადღებას. გაზ. „წითელ არმიელი“ სისტემატიურად მოგვდის. საჭიროა გვეგზავნებოდეს სხვა გამოცემებიც. კლუბში ხშირად იმართება წარმოდგენები, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებლებიც ესწრებიან. წარმოდგენების დროს კეთდება აგრეთვე მოხსენებები სხვა და სხვა თემებზე. ასე რომ ჩვენი კლუბის მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ლენინის კუთხეები.

ლენინის კუთხეების გარშემო დიდი მუშაობა სწარმოებს. კუთხეები ეწყობიან, როგორც ასეულებში, ისე მთელ ლეგიონის მაშტაბით.

მიუხედავად იმისა, რომ ლეგიონი ძლიერ ღარიბია, წითელი კუთხეებისათვის მაინც ყველაფერი გვაქვს და სამაგალითოდ ეწყობიან.

სოფლად მუშაობა.

ლეგიონის ნაწილები უკვე გაგზავნილი იქნენ ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრებში. ამ დღეებში დაიწყება მუშაობა სენაკის მაზრაში, ჩვენი ლეგიონის მიერ შეფობის ქვეშ აყვანილ სოფლებში. სოფლებს ეხლაც ეგზავნებათ ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და სხვა. ჩვენი დახმარება ამით არ განიზღვრება. ადგილობრივ ქვრივ-ობლებს და ულარიბეს გლეხობას ისედაც ვეხმარებით სხვა და სხვა სამუშაოს შესრულებაში.

ამრაირად ჩვენი ლეგიონი შეიჭრა სოფლებში და შეძლების დაგვარად შეაქვს იქ კულტურისა და განათლების შუქი. ადგილობრივ გლეხები ძლიერ კარგი თვალით გვიყურებენ.

პარტკორი **ა. ჭკადუა.**

სოფლის ჭირ-ვარამი.

II.

მეაბრეშუმეობის და სიმინდის გაყიდვის საკითხი.

თუ პარკი წინასწარ აღნიშნულ ფასებზე მეტში გაიყიდა ზედმეტის მიცემა ყოველთვის შეიძლება.

შემდეგი შეცდომა ის იყო, რომ როდესაც კოოპერატივებმა ფულის ნაწილის დარიგება დაიწყეს სოფლებში და გლეხი მიდიოდა ფულის მისაღებათ, მას ფულის მაგივრათ საქონელს აძლევდენ, რომელიც იქნებ მას არც კი სჭირდებოდა.

ასე რომ ზოგიერთ კოოპერატივებმა აბრეშუმის ფულით ან საქონელი შეიძინეს ან და ვექსილები დაიხსნეს და გლეხს კი აჩეჩებდენ რაც მისთვის საჭირო არ იყო.

ზოგიერთ შემთხვევებში ადგილი ქონდა ისეთ რამეს, პირველ შეხედვით უბრალო დაუდევრობას, მაგრამ გლეხისთვის საზიანო იყო.

გლეხს აძლევდენ ისეთ ფულის ნიშანს, რომლის დასახურდავებლათ ქალაქებში უნდა ჩამოსულიყო.

დროა ამ დაუდევრობას ბოლო მოეღოს, თორემ ჩვენი ასეთი მოქმედებით ისე დავაშინებთ გლეხობას, რომ სულაც უარს იტყვის აბრეშუმის მოყვანაზე. ჯერ კიდევ წრევანდელი შეცდომა თუ არ ვაღვიარეთ და გლეხობაში თუ ერთი კამპანია არ იქნა ჩატარებული მეაბრეშუმეობის შესახებ, ხალხი იმდენად დაშინებულია რომ მომავალში მეაბრეშუმეობის საქმე შეფერხდება.

წელს აბრეშუმის ცუდ მოსავალმა საშინელი გაუგებრობა გამოიწვია თუთის ფურცლის მქონებელს გლეხებს შუა. როდესაც გლეხმა ჭიისათვის იყიდა თუთის ფურცელი, ის ფიქრობდა პარკს მოვიწევ და ვალს გადავიხდიო.

ამავე დროს ჭია ან სულ წახდა ან სულ მცირე მოუვიდა პარკი. ეს პარკი მიიღო ცეკავშირმა და მას მისცა ქვითარი, სადაც არ იყო აღნიშნული, თუ რამდენი ერგებოდა მას ფული.

გლეხი ეკითხება ცეკავშირის რწმუნებულს: თუთის ფურცლის ფული მაქვს ვალათ და როგორ გადვიხადო ან როდისო და თურმე ამ კითხვაზე გლეხისთვის უპასუხებია ზოგიერთ შეგნებულ პროვოკატორს: (უთუოდ მენშევიკი იქნებოდა ან ფედერალისტი) ყველა თუთის ხეები სახელმწიფოსაა და არაფერი არ უნდა გადაიხადოო.

ეს პროვოკაციული ჭორი მოედვა სოფლებს და ზოგიერთი გლეხი ეგრე ამბობდა: კაცო, რას მოვესწარით? ასეთი ამბავი ნიკოლოზის დროს არ იყო.

მთავრობა თურმე ბჟოლის ხეებს გვართმევსო.

ამ პროვოკაციას ადგილი ქონდა ქუთაისის მაზრაში, სადაც მე დამჭირდა გლეხების დარწმუნება იმაში, რომ თქვენი ბჟოლის ხეები თქვენ გეკუთვნის და როგორც გინდათ ისე მოიხმარეთ მეთქი.

როგორც აბრეშუმის შესახებ, ისევე ითქმის სიმინდის ოპერაციებზე. გლეხმა ჩააბარა ცეკავშირს ყველა ზედმეტი სიმიდი, მას რაც არ სჭირდებოდა.

გადის ერთი, ორი, სამი და მეტი თვეები და გლეხი ვერ ეღირსა ერთი კაპიკის აღებას, და არც იცის როდის ეღირსება კუთვნილის მიღებას.

ამით სარგებლობს ჩვენი მოწინააღმდეგე პირები და ავრცელებენ ჭორებს. თითქოს სიმიდის ან აბრეშუმის ფულს არიგებდენ. საწყალი გლეხი ანებებს თავს სამუშაოს. გამოყვება ცოლშვილს და მთელი რვა და და ათი ვერსის მოშორებით მოდის.

ჩამოვა რაიონულ ან სამაზრო პუნქტზე ფულის მისაღებად, რომ იქ ცოლშვილს უყიდოს რაიმე.

მაგრამ დანიშნულ ადგილზე ფულის დარიგების მზგავსი არაფერი არ იციან.

ყოფილა შემთხვევა, რომ ერთ სოფლიდან რამოდენიმე ოჯახები ჩასულან და უკან მობრუნებულან ხელ ცარიელი.

ასეთ პროვოკაციულ ანკესებზე ხშირათ შეიძლება წამოეგოს საწყალი გლეხი.

რის შემდეგ უკმაყოფილო რჩებიან არსებულ ხელისუფლებით.

ამიტომ თუ შემდეგში გლეხებიდან მივიღებთ რაიმეს გასაყიდათ და თანაც ნისიათ, ჩვენ მას აუცილებლათ დრო უნდა დაუნიშნოთ ფულის მიღების.

ამავე დროს გლეხმა ისიც უნდა იცოდეს, თუ რამდენს მიიღებს დანიშნულ დროზე.

თუ ჩვენ ასე მოვიქცევით შემდეგში, არასოდეს გაუგებრობას ადგილი არ ექნება და ვერც პროვოკატორები იშოვიან საპროვოკაციო საქმეს ჩვენს წინააღმდეგ.

ს. ლომიძე.

რაზედ გვწერენ

რად უნდა ხთებოდეს?

მეხუთე ლეგიონის კლუბს თითეული წარმოდგენის გამართვაზე ძალიან ბევრი ფული ეხარჯება. ერთ ასეთ ხარჯთაგანს შეადგენს პიესისათვის ქალების დაქირავება.

სცენის მოყვარეთა შტატი, რო-

გორც ასეთი, ლეგიონს არა ყავს; უფასოთ სცენაზე სისტემატიურად კერძო პირები (ვგულისხმობ ქალებს) არ ითამაშებენ, რისთვისაც იძულებული ვხდებით ან ისეთი პიესა ავარჩიოთ, სადაც ქალები არ არიან საჭირო და ან უნდა დავიქირავოთ ქალი სცენაზე სათამაშოთ და ვიხადოთ განსაკუთრებული თანხა.

რათ უნდა ხდებოდეს ეს ასე, როდესაც ჩვენი ლეგიონის შტაბი „მემანქანე" ქალებით სავსეა? ნუ თუ არ შეიძლება მათი საკლუბო საქმეებში ჩაბმა და ამით ის ზედმეტი ხარჯების, რასაც დღეს-დღეობით ვავაწარმოებთ, თავიდან აშორება? წარმოდგენას კვირაში ერთხელ უშვებთ და მანქანაზე მომუშავე ქალებმა რომ კვირაში რეპიტიციაზე სამჯერ ან ოთხჯერ მოვიდენ, ეს მათ სამსახურს ხელს არ შეუშლის, მით უმეტეს რეპეტიციას საღამოობით გავდივართ და არც დიდ ცოდვათ ჩაეთვლებათ.

მაგრამ ჩვენს მემანქანეებს, რამდენიც არ უნდა ეხვეწოთ სცენაზე სათამაშოთ, სიკვტილს აჯობინებენ და სათამაშოთ არ გამოვლენ. შეიძლება სთქვას ვინმემ, რომ მათ ამის უნარი არ შეწევთო, მაგრამ ეს სიცრუე იქნება და ამას თავის დროზედ დავამტკიცებთ. არამედ მათ ძალიან ესირცხვებათ წითელ-არმიელთან ერთად სცენაზე თამაშობა. უდიდეს ცოდვათ აქვთ ეს მათ მიჩნეული.

დრო არის უკადრისობას თავი ვანებოთ და ერთი მეორის დახმარებით შეუდგეთ საერთო საქმის გაკეთებას.

ხოლო ის ვინც კვლავ განაგრძობს ასეთ საქციელს, ისინი უნდა იქნეს ჩვენს რიგებიდან გაშვებული და მის ადგილას იქნან მიღებული ისეთები, რომლებიც არ იუკადრისებენ ჩვენს წითელ-არმიელებთან ერთად სცენაზე თამაშობას.

ამ მხრივ მივაქცევთ სათანადო უწყების ყურადღებას.

მატიანე.

სამხედრო ტრიბუნალში.

27 ოქტომბერს, ტრიბუნალმა, ამხ. დ. ხიხაძის თავმჯდომარეობით განიხილა საქმე ცხენოსან ლეგიონის წ. მოლაშქრის ვახტანგ ალ. ვერულაშვილის, რომელსაც ბრალი ედებოდა ორჯერ სხვა და სხვა დროს სამხედრო ნაწილის თავის ნებით მიტოვებაში და სახაზინო ტანტსაცმელის მითვისება-გაფლანგვაში.

საქმის ვითარება.

ბრალდებული ვერულაშვილი მსახურებდა ცხენოსან ლეგიონში. 1923 წ. 4 ივნისს, დაუკითხავად გაიპარა სახლში, სადაც დარჩა 11 ივნისამდე, რომლის შემდეგ თავისივე ნებით გამოცხადდა ნაწილში. ამის გამო ის იქნა ადგილობრივ დაპატიმრებული სამხედრო კომისარის განკარგულებით.

მიუხედავათ იმისა, რომ პირველი დეზერტირობისათვის, ვერულაშვილი უკვე იყო დასჯილი ნაწილში, მან მაინც 1923 წლის ნოემბერში, მეორედ გაიპარა ნაწილიდან. წავიდა ბაქოში სამსახურის საძებნელად, მაგრამ იქ სამსახური ვერ იშოვა და დაბრუნდა ისევ თბილისში. თბილისში დაბრუნების შემდეგ ის ნაწილში აღარ გამოცხადებულა, იმყოფებოდა თბილისში და მუშაობდა კერძოდ. ასე გაატარა მან ამა 1924 წ. აგვისტომდე, რომელ თვეშიაც იქმნა შეპყრილი და მიცემული პასუხის გებაში. თავის მართლებაც ვეღარ შესძლო ვერულაშვილმა იმდენათ აშკარა და დიდი იყო მის მიერ ჩადენილი დანაშაული. ამავე დეზერტირობის დროს მან გაფლანგა მთელი კომპლექტი სახაზინო ტანისამოსისა და ქვეშსაგებისა.

სასამართლომ დამტკიცებულად სცნო ვერულაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული, როგორც ორჯერ დეზერტირობაში ისე სახაზინო ტანსაცმელის მითვისება გაფლანგვაში და მიუსაჯა:

გამასწორებელ სახლში მოთავსება ერთი წლის ვადით და ქონების ნაწილის კონფისკაცია სამასი მანეთით.

სახაზინო ტანსაცმელის გაფლანგვისათვსს—გამასწორებელი სახლი ექვსი თვით.

სასჯელთა შეერთების გამო მოსახდელ სასჯელად დარჩა ვერულაშვილს გამასწორებელ სახლში ერთი წლით მოთავსება.

რაც შეეხება ქონების კონფისკაციას სამასი მანეთის ღირებულებით, ვინაიდგან მას არავითარი ქონება არ აქვს, ტრიბუნალმა კონფისკაცია მას აპატია, საპატიმრო სასჯელის ძალაში დატოვებით.

დიხ.

ანტი-რელიგიურ ფრონტზე.

როგორ წარმოიშვა და განვითარდა სარწმუნოება.

ძველი დროის ადამიანისათვის ავადმყოფი ზედ-მეტი ბარგი იყო. ერთი რომ მას არ შეეძლო ყოველდღიურ მუშაობაში, ანუ საზრდოს ძებნაში მონაწილეობის მიღება და ზედმეტი პირი ხდებოდა, მეორედ ის საშიში ხდებოდა დანარჩენი ჯგუფის წევრებისათვის.

ხშირად ავადმყოფზე მიკარებაც კი იმავე მდგომარეობაში აგდებდა სრულიად ჯანსაღ ადამიანს.

ამასთან სანამ ტეხნიკა, ასე ვსთქვათ, განუვითარებელი იყო, ადამიანს არ ჰქონდა გადასაზიდი საშუალებანი, მისთვის ძნელი იყო ავადმყოფის თან წაყვანა და მოვლა-პატრონობა. ავადმყოფებს გზადაგზა სტოვებდენ. სტოვებდენ მიცვალებულებსაც დაუმარხავად, ვინაიდან როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, მათ არ ესმოდათ სიკვდილის რაობა და იმედი ჰქონდათ მისი მობრუნების, ე. ი. გაცოცხლების; მეორედ მიცვალებულის გახრწნილი გვამი მათ არ აწუხებდათ, ვინაიდან დიდხანს არ რჩებოდენ ერთ და იმავე ადგილზე.

მაგრამ როცა ადამიანი ამა თუ იმ ადგილის, ბინადარი გახდა (თუ მუდმივ არა, დროებით მაინც) და მისი ყოველდღიური ცხოვრების პირობები შეიცვალა, ის იძულებული გახდა ეზრუნა როგორც ავადმყოფზე ისე მიცვალებულებზეც.

რომ სხვებს არ გადასდებოდა სენი, ავადმყოფს განაცალკევებდენ. მიცვალებულს კი სადგომ ალაგს მოაშორებდენ და მარხავდენ.

დამარხვა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა სახით სწარმოებდა. პირველ ხანებში მიცვალებულის გვამს ბუნებრივ გამოქვაბულში მოათავსებდენ და გამოქვაბულს პირს დაუცავდენ დიდი ლოდით, რომ მხეცებს არ შეეჭამათ. მაგრამ ასეთი გამოქვაბულები მეტად საჭირო იყო ადამიანებისთვის საცხოვრებლად, ხოლო თუ შიგ გვამებს მოათავსებდენ, მათ არ შეეძლოთ შიგ ცხოვრება. ამას გამო შემოღებულ იქნა დასაფლავების სხვა და სხვა სახე.

მიცვალებულის გვამს გადაისვრიდენ სადმე უფსკრულში, ხან მთის მწვერვალზე აიტანდენ და იქ დასტოვებდენ.

ზღვის პირად მცხოვრებლებში გააკეთებდენ ნავს, ჩაასვენებდენ შიგ მიცვალებულს, მას მოამარაგებდენ საჭმელ-სასმელით და იარაღით და გაუშვებდენ ნავს ზღვის სიღრმეში.

შემდეგ ჩვეულებად შემოვიდა გვამის დაწვა. გვამს დასწვავდენ, ხოლო ფერფლს ჩაყრიდენ ყუთში და ჩვეულებრივად დამარხავდენ სხვა და სხვა ალაგას: ან გამოქვაბულში, ან მთის წვეროზე, ან გადაისვრიდენ ზღვაში. ეს ჩვეულებები ამ ბოლო დრომდის დაცული იყო დღევანდელ ველურ ტომებში.

როდესაც აღმოაჩინეს დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში ნახევრად ველურ და განუვითარებელი ადამიანები ქრისტიანების მისიონერებმა თავს იდვეს მათი „განვითარება და მათში ქრისტიანული სარწმუნოების შეტანა. მისიონერები მოუთხრობდენ სამოთხეზე, ჯოჯოხეთზე; სამოთხის ნეტარებაზე, ჯოჯოხეთურ წამებაზე და კუპრის ტბების შესახებ, რომელიც გამზადილი იყო ცოდვილთათვის.

მისიონერებში დიდი გაკვირვება გამოიწვია, როცა ამ განუვითარებელმა ტომებმა თავის წილ უამბეს მათ ასეთივე სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ. მაგრამ ეს ჯოჯოხეთი და სამოთხე კი არ ყოფილა სასულიერო პირების მიერ ყალბად შეთხზული. ისინი მიუთითებდენ იმაზე, რასაც ადგილი ჰქონდა სინამდვილეში: რომ ზოგი მათი მიცვალებულები მთის მწვერვალეზე განისვენებდენ მსგავსად ქრისტიანების სამოთხისა, ზოგი—უფსკრულში, მზგავსად ჯოჯოხეთისა, ზოგიც ზღვებში, როგორც ქრისტიანების მიერ შეთხზული კუპრის ტბა და სხვა. აქედან ცხადია, რომ ყოველგვარი ლეგენდები სამოთხის, ჯოჯოხეთის და მრავალ სხვათა შესახებ წარმოშვა პირველყოფილ ადამიანის ყოფა-ცხოვრებამ; ხოლო სამღვდელოებამ კი თავის გემოზე გადააკეთა ეს ძველი ჩვეულებები, ხშირად შეგნებულად და ხშირად შეუგნებლადაც და მისცა მათ რელიგიური ხასიათი.

№

ამბები სოფლებიდან.

რაჭის მასწავლებლობა.

რაჭის აღმასკომის განათლების განყოფილების ცნობით ამ ჟამად რაჭის ყველა ტიპის სასწავლებლებში მასწავლებელთა რიცხვი უდრის 190-ს.

მუზეუმები სოფლის სკოლებთან.

ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა: ყველა სოფლის სკოლასთან მოეწყოს სასკოლო მუზეუმები, სადაც შეძლებისდაგვარად მოგროვებული იქნება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების დამახასიათებელი ნივთები.

სარწყავი არხი შულავერში.

ბორჩალოს სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა შაუმიანის რაიონში გაიყვანოს სარწყავი არხი 25 ვერსის მანძილზე, რის გამოც დახმარება გამოითხოვა ცენტრიდან.

საქონლის მოსაშენებლათ.

რაჭაში ჯიშიანი საქონლის მოსაშენებლათ სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა შეიძინოს შვეიცის ჯიშის ძროხები, ბუღები და კარგი ჯიშის ვირები.

რაჭის გლეხკომები.

სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა გაგზავნა ინსტრუქტორი რაჭაში, გლეხკომების მუშაობის გასაცხოველებლათ.

წყალსადენი გურჯაანში.

სოფ. გურჯაანში უკვე დაიწყეს მუშაობა წყალსადენის გამოსაყვანათ. უკვე მოტანილია საამშენებლო მასალა.

ლენინგრადის სასარგებლოთ.

სენაკში შესდგა ლენინგრადის პროლეტარიატის დამხმარე კომისია, რომელიც მოაგროვებს შემოწირულებებს წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

სახალხო განათლება.

ხალხის საყოველთაო განათლების მიზნით, ახალქალაქის მაზრის ყველა სკოლებთან არსდება წერა-კითხვის უცოდ. სალიკვიდაციო პუნქტები.

ახალი ამბები.

— **მზადება ოქტომბ. დღესასწაულებისათვის.** ამ დღეებში ქართ. ნაწილების ყველა კლუბების გამგეობები გამოიმუშავებენ წესებს, თუ რა სახით მიიღონ მონაწილეობა ოქტომბ. დღესასწაულებში ნაწილების კლუბებმა.

— **ფულის გადაცემა.** 1-ლ დივიზ. პოლიტგანყოფილებამ გადასცა ცენტრ. კლუბს სათანადო თანხა ოქტომბრის დღესასწაულების ჩატარებისათვის გამოწვეულ ხარჯების დასაფარავათ.

— **წერა-კითხ. უცოდ. სკოლები ტფილისში.** ტფილისის პოლიტგანყოფილებამ ტფილისში გახსნა 61 სკოლა სრულიად წერა-კითხვის უცოდინართათვის და 56 სკოლა მცირე მცოდნეთათვის.

— **საბინაო ამშენებლობა.** ტფ. აღმასკომმა უკვე დაამტკიცა 12 საბინაო-საამშენებლო ამხანაგობა.

— **ფოსტა სოფლათ.** ფ.-ტელ. კავშირმა დაგზავნა სოფლებში თავისი ინსტრუქტორები, რომელთაც დავალებული აქვთ საფოსტო სააგენტოების მოწყობა სოფლებში.

— **სომხეთის გლეხკომების მისალმება.** სრულიად სომხეთის გლეხკომების ყრილობამ გამოუგზავნა საქართველოს გლეხკომების ცენტრ. ბიუროს და სოც. უზრ. კომისარიატს მისასალმებელი დეპეშა.

— **გადასახადი მეფუტკრეობაზე.** ა. კ. საფინანსო კომისარიატის განმარტებით წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არ ვრცელდება მეფუტკრეებზე.

— **საქველმოქმედო მარკები.** უკვე გამოვიდა ომში დასახიჩრებულთა დამხმარე კომიტეტის მიერ გამოცემული საქველ მოქმედო მარკები.

7 ნოემბრიდან, ქუთაისში, გაზ. „მუშა და გლეხი"-ს მაგივრათ
გამოსვლას იწყებს
ყოველდღიური გაზეთი.
„წითელი ვარსკვლავი"
ორგანო ს. კ. პ. ქუთაისის სამაზრო კომიტეტისა და მე-2-რე ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტგანყოფილებისა.

გაზეთში ითანამშრომლებენ თბილისის და ქუთაისის საუკეთესო ძალები.

გაზეთში მოთავსებული იქნება დეპეშები, უკანასკნელი ცნობები.

გაზეთს კორესპონდენტები ყავს საქართველოს და ამიერ-კავკასიის მსხვილ ცენტრებში, მუშათა რიგებში.

გაზეთში ფართოთ იქნება გაშუქებული დასავლეთ საქართველოსა და კერძოდ ქუთაისის მაზრის ცხოვრება.

გაზეთში გაშუქებული იქნება საქართველოს წითელ არმიის ცხოვრება.

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ
„წითელ ვარსკვლავზე"

გაზეთი თვიურათ ღირებ . .	70 კაპ.
ცალკე ნომერი	3 „
განცხადება—სტრიქონი . . .	15 „
სამგლოვიარო განცხადება . . .	4 მან,

განმეორებით განცხადება დაკლებულ ფასებშია.
რედაქციის მისამართი: როზა ლუქსენბურგის ქუჩა, „წითელი ვარსკვლავი"-ს რედაქცია.

ნ. ფ. ს. ც ტირაჟი 1500 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—მ. [illegible]